



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



დადგენილება N16

2014 წლის 27 ივნისი

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N33 დადგენილებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

დადგენილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია არსებული წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2013 წლის იანვარ -ოქტომბერი			2014 წლის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	5 814,2	8 997,2	5 482,5	3 514,7	5 178,9	2 112,8	3 066,1	11 178,4
გადასახადები	365,3	303,0	0,0	303,0	235,7	0,0	235,7	270,0
გრანტები	4 816,2	8 132,6	5 482,5	2 650,1	4 391,8	2 112,8	2 279,0	9 592,8
სხვა შემოსავლები	632,7	561,6	0,0	561,6	551,4	0,0	551,4	1 315,6
ხარჯები	3 565,2	3 597,6	106,6	3491,0	3 102,6	3,4	3 099,2	5 081,8
შრომის ანაზღაურება	1 056,2	1 080,3	6,4	1 073,9	939,9	3,4	936,5	1 784,3
საქონელი და მომსახურება	690,9	701,8	86,2	615,6	544,2	0,0	544,2	906,5
სუბსიდიები	1 565,6	1 615,5	14,0	1 601,5	1 432,6	0,0	1 432,6	2 074,0
გრანტები	16,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	235,8	200,0	0,0	200,0	185,9	0,0	185,9	317,0
საოპერაციო საღი	2 249,1	5 399,6	5 375,9	23,7	2 076,3	2 109,4	-33,1	6 096,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 269,7	5 435,4	5 400,2	35,2	1 995,5	1 978,7	16,8	6 111,6
ზრდა	2 295,5	5441,7	5 400,2	41,5	9,6	1 978,7	26,4	6 162,6
კლება	25,8	6,3	0,0	6,3	80,8	0,0	9,6	51,0
მოლიანი საღი	-20,0	-35,8	-24,3	-11,5	80,8	130,7	-49,9	-15,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-20,0	-35,8	-24,3	-11,5	80,8	130,7	-49,9	0,0

ზრდა	11,3	0,0	0,0	0,0	130,7	130,7	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	11,3	0,0	0,0	0,0	130,7	130,7	0,0	0,0
კლება	31,9	35,8	24,3	11,5	49,9	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2013 წლის იანვარ -ოქტომბერი			2014 წლის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	5 840,0	9 003,5	5 482,5	3 521,0	5 188,5	2 112,8	3 075,7	11 229,4
შემოსავლები	5 814,2	8 997,2	5 482,5	3 514,7	5 178,9	2 112,8	3 066,1	11 178,4
არაფინანსური აქტივების კლება	25,8	6,3	0,0	6,3	9,6	0,0	9,6	51,0
გადასახდელები	5 860,6	9 039,3	5 506,8	3 532,5	5 107,7	1 982,1	3 125,6	11 244,4
ხარჯები	3 565,1	3 597,6	106,6	3 494,0	3 102,6	3,4	3 099,2	5 081,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 295,1	5 441,7	5 400,0	41,5	2 005,1	1 978,7	26,4	6 162,6
ნაშთის ცვლილება	-20,6	-35,8	-24,3	-11,5	80,8	130,7	-49,9	-15,0

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11 178,4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2013 წლის იანვარ -ოქტომბერი			2014 წლის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	5 814,2	8 997,2	5 482,5	3 514,7	5 178,9	2 112,8	3 066,1	11 178,4
გადასახადები	365,3	303,0	0,0	303,0	235,7	0,0	235,7	270,0
გრანტები	4 816,2	8 132,6	5 482,5	2 650,1	4 391,8	2 112,8	2 279,0	9 592,8

სხვა შემოსავლები	632,7	561,6	0,0	561,6	551,2	0,0	551,4	1 315,6
------------------	-------	-------	-----	-------	-------	-----	-------	---------

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2013 წლის იანვარ -ოქტომბერი			2014 წლის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	365,3	303,0	0,0	303,0	235,7	0,0	235,7	270,0
ქონების გადასახადი	365,3	303,0	0,0	303,0	235,7	0,0	235,7	270,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	283,3	253,0		253,0	213,0		213,0	215,5
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	22,4	5,0	0,0	5,0	7,6	0,0	7,6	6,5
ფიზიკურ პირებიდან	22,4	5,0		5,0	7,6		7,6	6,5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	59,6	45,0	0,0	45,0	15,1	0,0	15,1	48,0
ფიზიკურ პირებიდან	59,6	45,0		45,0	15,1		15,1	48,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **9 592,8** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2013 წლის იანვარ - ოქტომბერი			2014 პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	4 816,2	8 132,6	5 482,5	2 650,1	4 391,8	2 112,8	2 279,0	9 592,8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	15,9	7,0	7,0	0,0	4,2	4,2	0,0	3,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 800,3	8 125,6	5 475,5	2 650,1	4 387,6	2 108,6	2 279,0	9 589,8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 470,4	2 650,1	0,0	2 650,1	2 279,0	0,0	2279,0	9 589,8

					ტრანსფერები			
სხვა შემოსავლები	632,7	561,1		561,0	541,4		541,4	1 315,6
შემოსავლები საკუთრებიდან	581,8	509,9		509,9	497,6		497,6	1 279,6
პროცენტები	34,9	19,0		19,0	8,7		8,7	10,0
რენტა	546,9	490,9		490,9	488,9		488,9	1 269,6
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	538,7	484,9		484,9	480,4		480,4	1 263,6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	8,2	6,0		6,0	8,5		8,5	6,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11,0	6,7		6,7	7,2		7,2	6,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11,0	6,7		6,7	7,2		7,2	6,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,2	0,2		0,2	0,3		0,3	0,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,9	2,5		2,5	3,7		3,7	2,8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	7,9	4,0		4,0	3,5		3,5	3,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	39,9	45,0		45,0	38,2		38,2	30,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **5 081,8** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის იანვარ -ოქტომბერი			2014 წლის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	3 565,1	3 597,6	106,6	3 491,0	3 102,6	3,4	3 099,2	5 081,8
შრომის ანაზღაურება	1 056,2	1 080,3	6,4	1 073,9	939,9	3,4	936,5	1 784,3
საქონელი და მომსახურება	690,9	701,8	86,2	615,6	544,2	0,0	544,2	906,5

სუბსიდიები	1 565,6	1 615,5	14,0	1 601,5	1 432,6	0,0	1 432,6	2 074,0
გრანტები	16,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	235,8	200,0	0,0	200,0	185,9	0,0	185,9	317,0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 111,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 162,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროექტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	51,8	19,1	30,6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	17,1	8,3	51,9
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 596,0	5 341,9	5 535,7
04 00	განათლება	67,1	1,8	532,4
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	563,5	56,5	12,0
სულ ჯამი		2 278,4	5 419,3	6 162,6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 51,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	16,8	6,3	51,0
არაწარმოებული აქტივები	16,8	6,3	51,0
მიწა	16,8	6,3	51,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონ	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის

ალური კოდი				პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 405,4	1 414,0	2 091,5
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 398,5	1 414,0	2 091,5
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 351,7	1 379,0	2 013,3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	46,8	35,0	78,2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	6,9	0,0	0,0
702	თავდაცვა	94,3	98,0	134,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	191,3	139,2	248,2
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	58,6	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	132,4	139,2	248,2
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 738,5	5 401,9	5 531,2
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	629,9
7045	ტრანსპორტი	1 338,1	4 326,3	2 137,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 338,1	4 326,3	2 137,6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	400,4	1 075,6	2 763,7
705	გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	502,5	314,0	571,4
7061	ბინათმშენებლობა	40,3	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	388,5	234,5	236,0
7063	წყალმომარაგება	20,9	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	52,8	79,5	335,4
707	ჯანმრთელობის დაცვა	75,0	76,0	76,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	75,0	76,0	76,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 075,3	875,4	997,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	548,5	304,0	407,7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	483,9	538,0	548,1
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	6,4	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	36,5	33,4	42,0

ფუნქციონალური	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროექტი
709	განათლება	542,8	520,8	1 276,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	502,3	465,8	1 198,4
7092	ზოგადი განათლება	8,5	12,0	10,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	32,0	43,0	68,4
710	სოციალური დაცვა	235,8	200,0	317,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	18,2	11,0	7,5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	217,6	189,0	309,5
	სულ	5 860,6	9 039,9	11 244,4

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -15.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელეების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 78,2 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 12. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

- დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 183,0 ათასი ლარი მიიმართოს:
 - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 64,0 ათასი ლარი;
 - „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 119,0 ათასი ლარი;
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 13. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება, სახანძრო ავტომანქანების ტექნიკურად გამართვა, უნიფორმის შეძენა, სამაშველო სამსახურისათვის მაღალი გამავლობის სპეც. ავტომობილების შეძენა.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სამხედრო სამსახურის ფინანსური უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურის დასასვენებელი პარკის და სკვერის კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა,

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან განთავისუფლება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები. ამწე კალათით მოხდება გარე განათების ქსელის მომსახურება. მოხდება მუნიციპალიტეტისათვის ავტო გრეიდერისა და ექსკავატორის შეძენა.

2.2.1 კომუნალური სამსახური „სხივი“ (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახური „სხივი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა უბნებში განათების ახალი წერტილების მოწყობას.

არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, დაბის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა. მცენარეთა შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით.

2.2.2 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის ავტოგრეიდერის და ექსკავატორის შეძენა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტისათვის, ავტოგრეიდერის და ექსკავატორის შეძენა, რომელისც მოემსახურება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

2.2.3 გარე განათების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება დაბა ჩოხატაურში გარე განათების ქსელის გაფართოება;

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

2.3.1 შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 01)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

2.3.2. დაბის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოხდება აგრარული ბაზრის წინა ტერიტორიისა და 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობა;

2.3.3 აა(ი)პ კურორტი „ბახმარო“ (პროგრამული კოდი 03 03 04)

დაწესებულების მიზანია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება დამსვენებელთა მოზიდვა, მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.საქუჩო განათების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა პატრონობის ხელშეწყობა, ინდივიდუალური სააგარაკო სახლების და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

2.3.4 დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის სახლის მშენებლობა;

2.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება სხვადასხვა სამუშაოები.

2.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების, გაბიონების, ნაპირსამაგრების და სტიქიის შედეგად დაზიანებული სხვა შენობა-ნაგებობების აღდგენა.

2.6 ციტრუსის მოსავლის აღების ღონისძიებათა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0307)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, ახალი ბაღების გახსნა.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა. გაიხსნება საბავშვო ბაღი სოფელ აზოტში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება N1საბავშვობაღს, N1,N2 ბაგა ბაღს და ბსოფელ იანეულის, სამების, ერკეთის და ამაღლების საბავშვო ბაღებს;

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 550 ბავშვი. ახალი საბავშვო ბაღების გახსნის შემთხვევაში ბავშვთა რაოდენობა გაიზრდება 100 აღსაზრდელით. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება. დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, იფუნქციონირებს მუსიკალური

და ქორეოგრაფიული წრეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

3.2.1 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული წრეები, განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, სადაც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და წარუდგინონ ფართო აუდიტორიას. კლუბი ითანამშრომლებს ადგილობრივ მედია-საშუალებებთან, ასევე თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან და ბათუმის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის ყოველწლიურ ლიტერატურულ ჟურნალთან „ზღვაური“. წლი განმავლობაში იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები;

მოსწავლეთა 68-ე სასწავლო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება.

მუსიკალური კონკურსი „ბამი“

შემოქმედ ბავშვთა რაიონული კონკურსი „პოეტური შტრიხები“

შ.შ.მ პირთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების ერთობლივი კონკურსი „ჯადოსნური ზღაპარი“

ტრადიციული ღონისძიება „შემოდგომა გურიაში“

საახალწლო კარნავალი

პროექტი „ცნობილი ადამიანები გურიიდან“

დებატები „დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო“ - გასვლა საჯარო სკოლებში.

საჩვენებელი ღონისძიება კინგბოქსში.

მიმდინარე წელში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა საჭადრაკო წრე, გათამაშდა 8 დან 12 წლამდე ასაკის გოგონათა და ქაბუკთა შორის ევროპის თასი ჭადრაკში, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას იღებდა ოთხი მოჭადრაკე და ორი მწვრთნელი. შეჯიბრში მონაწილეობა გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა პატარა მოჭადრაკეებისათვის. მომდევნო 2014 წელში საჭადრაკო წრე გააგრძელებს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

3.2.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2014 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სასპორტო სკოლა;
- სპორტის განვითარების ცენტრი;
- საფეხბურთო კლუბი „ბახმარო 2009“
- გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტი
- გურიის რეგიონალური ლელოს ფედერაცია

4.1.1 სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს მიუდოს, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, ფრენბურთის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 8 სპორტული სახეობის 11 სექცია, სადაც გაერთიანებულია 11 მწვრთნელი 250 მოსწავლე სპორტსმენი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა „იმედო დუნდუას“, „ანდრო ჟორდანას“ და „ანზორ კვაჭაძის“ სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში გურია-აჭარის ზონაში, მოხდება ნოდარ ახალკაცის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მიღება, სასპორტო სკოლის რაგბის გუნდი მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალში 1998-1999, 2000-2001, 2002-2003 წელში დაბადებული მორაგბეებით, სადაც მონაწილეობს 36 გუნდი. მიიღებს მონაწილეობას მძლეოსნობაში საქართველოს პირველობებზე რესპუბლიკურ ტურნირში. ახალჩამოყალიბებული საკალათბურთო ჯგუფი 2014 წლიდან მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობის ტურნირში.

სასპორტო სკოლის სპორტის ყველა სახეობისთვის მოხდება მოსწავლეთა და მწვრთნელთა სპორტული ფორმების შეძენა. მოეწყობა ფეხბურთისა და რაგბის სტადიონები. დამონტაჟდება სავარჯიშო ტრენაჟორები სადაც ივარჯიშებენ როგორც სპორტსმენები ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

4.1.2 სპორტის განვითარების ცენტრი (პროგრამის კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალსპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები ლელობურთში, ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, მკლავჭიდაობაში, დოღში, ფუტზალში, მაგიდის ჩოგბურთში, ბილიარდში, შაშში, ბაზიერთა კლუბის მიერ მოეწყობა რაიონის ჩემპიონატი, გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატში ბაზიართა შორის, მოხდება ცენტრალური სტადიონის ეტაპობრივი რეაბილიტაცია. ყველა ხარჯს აფინანსებს სპორტის განვითარების ცენტრი.

4.1.3 საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ (პროგრამის კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ რომელიც აერთიანებს 18 სპორტსმენს და მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში. დაარსების დღიდან გუნდში იგრძნობოდა სპორტული დონის ამაღლების ტენდენცია, გუნდმა მიაღწია გარკვეულ შედეგებს, კერძოდ 2009-2010 წლების გათამაშებაში მე-5 ადგილი, 2011-2012 წლების გათამაშებაში მე-4 ადგილი და 2012-2013 წლების პირველი ლიგის საგზური.

გამომდინარე აქედან გუნდს გააჩნია სათამაშო კლასის ამარლების პოტენციალი და მიზნად ისახავს აღნიშნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას საწვრთნელი პროცესების ხარისხის გაუმჯობესების გზით და ნიჭიერ ფეხბურთელთა მოზიდვით. მოხდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ამხანაგური მატჩების უფრო ხშირად ჩატარება.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი;
- მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 150-მდე მოსწავლე;
- სამხატვრო სკოლა. სადაც სწავლობს 100 -მდე მოსწავლე;
- ბიბლიოთეკები;
- მუზეუმები;

4.2.1 კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:

კალანდა გურიამი, ქალთა დღესასწაული, პასკის ფესტივალი, 26 მაისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სპექტაკლების ჩვენება, ფოლკლორის სადამო,

ფერისცვალების დღესასწაული, საესტრადო სიმღერების კონკურსი, გურული საგალობლების ფესტივალი, გიორგობის დღესასწაული და სხვა ღონისძიებები.

კულტურის ცენტრი აერთიანებს ანსამბლებს: „გურია“-ს, „ნართი“-ს, „კრიმანჭულ“-ს, მანდილ“-ს, საესტრადო ჯგუფებს, მაგალობელთა ჯგუფს, ცეკვის ანსამბლებს, თეატრალურ დასს. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა ძალებით ხდება ხალხური რეწვის, ფოლკლორის მოძიება და დამუშავება და მაცურებელთათვის მიწოდება.

4.2.2 ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ქსელი.

